

რედაქცია: სოლოლოვზე, ბაღის ქუჩაზე, ბ. შადინოვის სახლში, № 33.

ხელის-მოწერა მიიღება რედაქციაში, ბარეზე მცხოვრებთათვის: В редакцію газ. „Дროга“.

გაზეთის ღირსი: მთელის წლისა—8 მან., ნახევარწლისა—5 მან., სასისთვის—3 მან., ერთის თვისა—1 მან.

ცალკე ნომერი ღირს შაურად.

დროგა

ყოველ დღე ორშაბათს გარდა

ფასი განსაზღვრის: დიდი ასოებით ასოზე—1 კპა, მცირე ასოზე—8 კპა, ზედათქმული ციფრით—5 კპა, პატარათი—4 კპა.

რედაქციის უფლება აქვს გაასწოროს და შეამოკლოს დასაბეჭდად გამოგზავნილი სტატიები. დაუბეჭდელი სტატიები ავტორს არ დაუბრუნდება.

ოთხშაბათს, 13 ივნისს, საზავ-ხულო თეატრში იმდება განმეორისი

გ. გ. საზაროვისა

ამ ბენეფისისათვის წინათვე ალაგების დაჭერა შეიძლება როინოვის ფოტოგრაფიაში, ღვარცოვის ქუჩაზე, ზ. საზავოვის სახლებში.

(3—2)

ყოველ-დღიური გაზეთი

„დროგა“

ხელის-მოწერა მიიღება მთელისში რედაქციის კანტორაში (ბაღის (სადოვი) ქუჩაზე, ბ. შადინოვის სახლში, № 33).

ქალაქს გარეშე ხელის-მომწერელთათვის აღრესი: В Тифлис. В редакцию газеты „Дрога“.

გაზეთის ღირსი

მთელის წლისა	—	—	8 მან.
მქვის თვისა	—	—	5 „
სამის თვისა	—	—	3 „
ერთის თვისა	—	—	1 „

ხვედრი ფული გაზეთის დაბარებისათნავე უნდა იქმნეს რედაქციაში შემოტანილი.

პირველი ივნისიდან წლის დამლ-ვადინ გაზეთი ღირს ხუთ მანეთად და ათ შაურად.

საპროდ ვრაცხო გამოვაცხადოთ იმ ხელის-მოწერალებისათვის, რომელნიც ზავხულოებით ქალაქი-დამ სოფლებში მიდიან და საზოგადოთ ადრას იცვლიან, რომ, თუ ჰსურთ გაზეთი ახალის ადრასით მიიღონ, ერთი მანეთი უნდა შემოტანონ რედაქციაში.

მისაც ნახევარი წლის ფული გაზეთისა 4 მანეთის მქვით არ შემოუტანიათ, იმათ, თუ ერთ მანეთსაც არ გამოგზავნიან, გაზეთი ამ 1 ივნისიდან მოესპობა.

ტელეგრაფები

(ხალხთა-შორის ტელეგრაფის სააგენტოსი)

ხერსონი, 6 ივნისს, ნაშუადღევს 2 საათზე. აქაური ხაზინიდან 1,700,000 მანეთზე მეტია მოპარული. შეიღ ზანდუქში, რომელიც სახელმწიფო ბანკს ეკუთვნოდა, გატეხილია სამი, რომელშიაც ყველაზე უფრო მომეტებული ფული ეწყო; დანარჩენ ზანდუქებისათვის, რომლებშიაც აგრეთვე ფული იყო, ქურდებს ხელი არ უხლიათ. გატეხილ ზანდუქებიდან ამოუღიათ სამ და ხუთ მანეთიან ქაღალდის ფული, სარგებლიანი ქაღალდები და კუპონები.

მისის 24-ს ხაზინის შენობის გვერდით, ძოვინის სახლში, დადგა ერთი ქალი, რომელმანც სთქვა, რომ დოქტორის ნიკიტინის ცოლი ვარო და რომელსაც ჰყავდა ძუძუ-მწოვარი ბავშვი და დედა-კაცი; 4 ივნისს ამასთან მოვიდა ორი შპალერის ამკრელი. ძვირას და ორშაბათს ხაზინის სარდაფში საზოგადოთ კაცი არ ჩადის. დღის 11 საათზე, როდესაც ქურდობა აღმოჩნდა, არც ერთი ამ პირთაგანი იმ სახლში აღარ იყვნენ, გაქცეულიყვნენ; იმათ ოთახებში ნახეს მხოლოდ დამწვარ ტანისამოსის ფერფლი. მიწა გაუთხრიათ ამ ნიკიტინის ცოლის სამზარეულო ოთახიდან; აქედამ ხაზინის სარდაფამდინ 7¹/₂ საფენი მიწა არის გათხრილი ერთი საფენი სიმაღლე. მიწა სამზარეულოში და სახურავის ქვეშ დაუყრიათ. შუა ოთახში ჰაერისათვის მილი (ტრუბა) ყოფილა ამოყვანილი, რომელიც ფეხში შედის. უკანასკნელად ნიკიტინის ცოლი კვირას უნახავთ 3 ივნისს, ნაშუადღევს 2 საათზე. ამ სახლის მცველი (ასასი—დვორნიკი) დაჭერილია. ძურდების კვალს ჯერ სრულიად ვერ მოაგნეს. შიშხელი გამოძიება არის მიღებული ამათ მოსანახავად და დასაჭერად.

ხერსონი, 6 ივნისს, საღამოს 10 საათზე. ძურდი, რომელმანც ხაზინიდან ფული მოიპარა, დაიჭირეს. იმას უნახეს ერთ მილიონ მანეთზე მეტი.

საქართველო

დამზოგველი საზოგადოება

ამას წინათ იყო ჩვენს გაზეთში მოხსენებული, რომ მთელისში არსდება

ახალი (მეორე) დამზოგველი საზოგადოება. ამ საზოგადოების წესდება დაუბეჭდილია მთავრობას და, როგორც აქაურს გაზეთებში არის გამოცხადებული, ხელო, კვირას, დღის 10 საათზე, მთელისის საადგილ-მამულთა ბანკის სადგომში იქნება საერთო ყრილობა საზოგადოების დამაარსებლებისა, რომელთაგან უნდა ამოირჩიონ გამგებელნი ამ საზოგადოებისა, რეგისტრის კამისია და ამათი კანდიდატები.

ჩვენ არ ვიცით—ვინ არიან დამაარსებლები ამ ახალ საზოგადოებისა; არ ვიცით ნამდვილად—რა საფუძველზედ ჰსურთ დაარსონ საზოგადოების დამაარსებელთ ეს საქმე; იმაზედ, როგორც ძველი საზოგადოება, თუ რომელიმე ახალი აზრი და განზრახვა აქვთ? ჩვენ ვიცით მხოლოდ წესდება, რომელიც ამბობს, „საზოგადოების დანიშნულება ის არისო, რომ მომხმარებელს, უშუაშემოდოთ, მიეწოდოს ყველაფერი, რაც ცხოვრებისათვის საჭირო არისო“. წესდება კი ამბობს ამას, მაგრამ საქმე შესრულებაშია. ჩვენი ძველი „დამზოგველ საზოგადოების“ წესდებაშიც კი არის ეს ფრაზა; მაგრამ ბოლოს გამოვიდა, რომ ამ საზოგადოების მოქმედება, ჩვენი რეალური სასწავლებლის ინსპექტორის უფ. ივანენკოს ხელში, გარდაიქცა უბრალო მედუქნის მოქმედებად: საზოგადოების მალაზია რაც შეიძლება იაფად ჰყიდულობს არა-პირველი ღირსების საქონელს და რაც შეიძლება ძვირად ჰყიდის,—და რაც მოგება რჩება, დამაარსებლები იყიფენ ერთმანეთში.

იმედი გვაქვს, რომ ახლად-დაარსებული საზოგადოება ამ კვალზედ არ ივლის, ამ გვარ ვაჭრულ ანგარიშით არ იმოქმედებს.

„დამზოგველი საზოგადოებას“ მხოლოდ მაშინ აქვს ნამდვილი საზოგადოებრივი მნიშვნელობა, როდესაც ის თავის უმთავრესს კანონს, პრინციპს, ასრულებს; ეს კანონი მდგომარეობს იმაში, რომ ის ყველაზე პირველად უნდა ცდილობდეს, რომ სოფლის ყოველ გვარი ნაწარმოები პირდაპირ, და არა შუამავალ-ვაჭრის საშუალებით, მიეწოდოს იმათ, ვისაც ეს ნაწარმოები ეჭირება. იმის მოვალეობაა, კამისიითან ფულით აიღოს, მიიბაროს ყველა გვარი ხორავი, ყველაფერი, რაც სოფლის ხალხს მოჰყავს, და ცოტადენი სარგებლით (კამისის ფულით) გაჰყიდოს მომხმარებელთაგან. უფრო მეტი რაღაცა უფროდ მხოლოდამა შემთხვევაში შეუძლიან დამზოგველ საზოგადოებას მიუტანოს

ნამდვილი სარგებლობა; მხოლოდ ამ შემთხვევაში დაეხმარება ის ერთსა-ღამევ დროს სოფლის მწარმოებელსა და ქალაქის მომხმარებელსაც.

ახლად - დაარსებული საზოგადოება მხოლოდ მაშინ დაიშლასურებს საზოგადო თანაგრძნობას, როდესაც იმის დაშლასებლები თავის კერძო სარგებელს არ გამოეკიდებიან, როდესაც საზოგადო საჭიროებას მიაქცევენ ყურადღებას. წინააღმდეგ შემთხვევაში ეს საზოგადოება შეიქნება უბრალო ვაჭრების კაპანია და იმათი მალაზია - უბრალო ღუქანი - თავის პატრონების გასამდიდრებლად გაღებული.

ჩვენი აზრით, საზოგადოებამ, თუ ჰსურს ნამდვილი სარგებლობის მოტანა ხალხისათვის, ყველაზე პირველად უნდა მიაქციოს ყურადღება იმ საგნებს, რომელნიც ცხოვრებაში უსაჭიროესს საგნებს შეადგენენ: ე. ი. პურს, ღვინოს, ყველეს, წვანოს და სხვა ამ გვარებს. პომადებითა და ღუქებით ვაჭრობით, როგორც ძველი საზოგადოება ვაჭრობს, ის, რასაკვირველია, ხალხს ვერას შეჰმატებს და ბევრს ვერც თითონ მოიგებს.

ჩვენი ქვეყანა ყოველ გვარ საჭირო ნაწარმოებით მდიდარია; თითქმის ყველაფერი მოდის ჩვენში, რაც ადამიანის საქმელ-სამეღალად, ჩასაცვამ-დასახურად, და თვით განცხობისა და სიტკბოებისათვის საჭიროა. შევლაფერი მოდის, მაგრამ ჩვენ მაინც ყველაფერი რუსეთიდან და სამზღვარ გარეთის ქვეყნებიდან მოგვდის. როგორ გასაკვირველი არ უნდა იყოს, რომ საქართველოში რომელსაც, ალანის მინდვრები და მართლი, აქვს შირიმინამ მოტანილ პურს ესჭამდეთ? როგორ გასაკვირველი არ არის, რომ ძანეთის პატრონს ხალხს ღონიდან და სამზღვარ გარეთიდან მოგვდიოდეს ღვინოები? როგორ გასაკვირველი არ არის, რომ ჩვენი მთებისა და საზოგადოთ საბოლახე ადგილების პატრონ ხალხს, მაუდი და შალები ინგლისიდან და რიგი-დამ მოგვდიოდეს?

შველა ეს გასაკვირველია, მაგრამ ნამდვილია. და მიზეზი ამისი? მართი ათთაგანი მიზეზი ისიც არის, რომ, ჩვენი დახელოვნებული ვაჭრების წყალობით, ჩვენებური მწარმოებელი ვერაფერ თავის ნაწარმოების გასაღებაში და გაყიდვაში ხერხს ვერ პოულობს; ეს ვაჭარი ყოველ გზას უხლართავს იმას, სანამ იძულებულს არ გახდის, რომ ნახევარ, მეოთხედ ფასად გაჰყიდოს თავის ნაწარმოები საქონელი. ამის გამო დიდს წარმოებაში, ბევრის ნამუშევრის მოყვანაში ის სარგებლობას ვერ ჰხედავს, და მოჰყავს მართი იმდენი, რომ შიმშილითა და წყურვალთ არ მოკვდეს, ცოდვილი ტანი შეიმოსოს და ხელმწიფისა და მემამულეს ხარჯი გაისტუმროს.

ჩვენ ურჩევთ ახლად-დაარსებულს საზოგადოებას, რომ ამ გარემოებას მიაქციოს უპირველესი ყურადღება. დასავლეთი მერკის მაგალითმა დამტკიცა, რომ ყოველ ამ გვარ დამზოგველ საზოგადოებას მხოლოდ მაშინ მოაქვს სარგებლობა, როდესაც ის შეიქნება

ნამდვილი კომისიონერობა, ე. ი. როდესაც დამზოგველს, მომხმარებელს მისცემს ის საშუალებას, რომ პირ-და-პირ მწარმოებელისაგან იყიდოს ცხოვრებისათვის აუცილებელად საჭირო საგნები.

ს. მ.

დღიური

* * ჩვენ მოგვივიდა ზოგიერთი ცნობები ბათუმის სამხედრო მაზრის მცხოვრებლების რიცხვის შესახებ. ეს ცნობები, უეჭველია, ერთობ ბევრით დანამდილი არ იქნება, რადგან ჯერ იქითკენ ხალხის აღწერა არ მომხდარა; მაგრამ სულ არაობას, ეს სჯობია. ცნობები ოფიციალურია, ამ აპრილში შეკრებილი ბათუმის სამაზრო გამგეობისაგან:

მ. ბათუმში ითვლება	—	—	994 კომ.
ბათუმის უჩასტკაში	—	—	984 "
ბინტრის უჩასტკაში	—	—	1,295 "
მ. მობულეთში	—	—	213 "
ბონიის უჩასტკაში	—	—	655 "
მარადიში	—	—	240 "
აჭარის მაზრაში (დაახლოებით)	8,000		
მაჭახელის უჩასტკაში	—	—	1,409 "
ართვინის მაზრაში	—	—	10,100 "
მ. ართვინში	—	—	980 "
ბორჩხის უჩასტკაში	—	—	5,617 "
არდნაუჯის უჩასტკაში	—	—	1,415 "
მ. არდნაუჯში	—	—	112 "
შავშეთ-იმერხეის უჩასტკაში	1,447		"

სულ — 33,457 ოჯახ.

მითითებულ ამ ოც-და-ცამეტ-ათას ოთხას-ორმოც-და-შვიდმეტ ოჯახში რომ ხუთი სული ჩავადგოთ, გამოვა, რომ ახლად შემოერთებულს მაჰმადიან საქართველოში უნდა იყოს დაახლოებით 170,000 (ას სამოც-და-ათი ათასი) სული.

ამ რიცხვს რომ მიუმატოთ მურღულისა და ჩხალას ხეობა, რომელნიც ცნობების მოკრების დროს ჯერ კიდევ მსმალოს ხელში იყვნენ და რომელნიც, როგორც გავიგონია, ძალიან მჭიდროდ არიან დასახლებული, გამოვა, რომ მაჰმადიან საქართველოში ყოფილა თუ არ მეტი, არა-ნაკლები 200,000 (ორასი ათასი) სულისა, რომელთაგან ერთი მეათედი თუ იქნება სხვა ტომის ხალხი, დანარჩენი სულ შთამომავლობით ქართველნი არიან და ქართულად ლაპარაკობენ.

ამდენი მხნე, მარჯვე და მშრომელი ხალხის შემატება, რასაკვირველია, ძვირად უნდა ღირდეს რუსეთისათვის, და ამათი გადასახლება, რაღა თქმა უნდა, მოგვიკლავს გულს ჩვენ, ამათ მოძმეებსა, და დააკლდება თვით დიდებულ რუსეთსაც.

* * ჩვენ მივიღეთ ახალციხის ახალ-ქალაქიდან შემდეგი ძნელად დასაჯერებელი, მაგრამ, მაგონია, ნამდვილი ამბავი: ამ ივნისის პირველს სოფ. ზიგრა-ვენში ერთს სომეხს ორი თავის შვილი,

ერთი 8 წლისა და მეორე 10-ისა, სარტყლით დაუღრჩია. მამა დაქორცილია თურმე, არ გაქცეულა; მამა, მამა, მამა დალიან გაწილიანდნენო (!), ვერ უელიდო, რადგან მათი დედა უნამუსო შეიქნა, გაგადგო, და ამისთვის დაეღრჩია!...

* * საზოგადო საჩივარი ისმის ჩვენს მეთულუღრჩევზედ. პრავითარი ყურის-გდება და წესი ამათთვის არ არის. რაც უნდათ, იმას სჩადიან; როგორც უნდათ, ისე ეპყრობიან ხალხს; უნდათ მოუტანენ წყალს და უნდათ არა; ისიც რა წყალს! ჩვენ გვითხრეს, რომ ერთსა-ღამევ ვზოში ერთს მდგმურთან თულუხნი წყალი ესთქვით რვა კავიკად მიაქეთო და მეორე მდგმურთან კი თულუხნი ორ და სამ შაურადო.

ჩვენ შევიტყუეთ, რომ ამ გარემოებას ახალმა ქალაქის მთავრმა მიაქცია ყურადღება და სხვათა შორის განზრახვა ექსლ, რომ ყველა მეთულუხეებს ნომრები დაურიგოს და ტაქცია დანიშნოს ქალაქის თითოეულ უბნისთვისაო.

შრიგო არ იქნება ამას გარდა, რომ, სანამ ქალაქი წყლის გაყვანას ელირსებოდეს, ამ მეთულუღრჩევს ადგილი დაუნიშნონ, საიდანაც ამოიღონ ხოლმე წყალი, გაუკეთონ სუფთა წყლის ამოსაღები ბოგირები, ან ქვის კედელი, ან სხვა რამე ისეთი, რომ მუდამ საძაგელ, ნაგვიფ საფსე, ამღერეულ და მყრალ წყალს არ გვასმევდნენ ეს მეთულუხნები..

* * რადგან მთილისის ახლო-მახლო ბაღებში კალიამ თითქმის ყოველ გვარი მცენარეულობა გადასჭამა, ამის გამო ამ უკანასკნელ დღეებში წვანილი ძალიან გაძვირდა ქალაქში.

* * ბოროდამ იწერებინა „მთილისის მოამბეში“, რომ კალია თან-და-თან უახლოვდება ბორსაო; ამ ქამად მსანკაზე გამოჩნდაო. ადგილობრივმა მთავრობამ ცოცხებითა და წკებლებით გამოიყვანა სოფლის ხალხი იმათ დასახოცავათაო; მაგრამ ეს ბევრს არას უშველია, რადგან ფრთიანი არისო. მთელს ბორის უბნში წელს ძალიან უხვი მოსავლის იმედი ჰქონდა ხალხსაო; მაგრამ ახლა ამ კალიის მოახლოვებამ კი ყველამ შეაშინაო.

ამავე გაზეთის სიტყვით, მლისავეტ-პოლის ლუბერნატორს გამოუტყდადებია, რომ ვინც ერთ ფუთ დახოცილ კალიას წარმოადგენს, ორ მანეთ ნახევარი მიეცემა ჯილდოთო (?).

* * ღუშეთიდან დიდ სამღურავს გვწერენ იქაურს მღვდლებზე. ამბობენ, რომ ამ უბნის ზოგიერთი მღვდლები ერთობ ხშირად შეეპყვიან ღვინოს, ქიბისა და დროს-გატარებდასო და თავის მრევლის სულზე და ზნეობით წარმატებაზე კი ერთობ ცოტას ზრუნავენო.

„დროშის“ კორესპონდენცია

თელავი, 2 ივნისი. ამას წინათ „თელისის მოაბეში“ № 88 იყო ვილაციის კორესპონდენციაში თელაველების ქება; ამ შესწავლა რაღაც თავბრუს დაჰყავდა თელაველებს და ლამის ნეტარების ძილს მისცეს ისინი; ამისთვის ურიგო არ იქნება უჩვენოთ მათ, რომ ჯერ აღრეა ძილის დრო, რადგანაც მათს ბლომად ცხოვრებაში ბევრი სუსტი მხარეებია და ჰყავთ ყალბის განათლების მქონე გემები. ამ ხანად მე შევეხები ერთს ყალბ-განათლებულს პედალოვს უფნად და მასთანავე ქალების სასწავლებლისას;

ამ პედალოვს სამოქალაქო სასწავლებელში აქვს შეიღი გაკვეთილი რუსულის ენისა უსტავის ძალით, ექვსი არითმეტიკისა, ორი გეომეტრიისა, სამი ჰუნების შესწავლისა, ორი თუ ერთი სამშობლოს შესწავლისა, ორი ხატვის და ხაზვისა, ერთი ისტორიისა; სულ ოც-და-ორი თუ ოც-და-ერთი გაკვეთილი კვირაში. ამასთანავე უსტავის ძალით, მას აქვს კვირაში სამი გაკვეთილი გომნასტიკისა. სულ არა ნაკლები ოც-და-ოთხის გაკვეთილისა კვირაში!

შეიღა ეს გაკვეთილები აქვს სადილობადის. მაგრამ ამ პედალოვს მცირედ სჩვენებია ეს გაკვეთილები, თუ სხვა მიზეზით, კიდევ აუღია ოთხი გაკვეთილიც გეოგრაფიისა საქალბო სასწავლებელში და ამნაირად კვირის ოც-და-ოთხს საათში უნდა მისცეს ოც-და-რვა თუ ოც-და-ცხრა საათიანი გაკვეთილი! ეს შეეძლო შეესრულებინა, თუ რომ მას ჰქონოდა დღეში ხუთი საათი გაკვეთილებისთვის, მაგრამ საქმე იმაშია, რომ ეს გაკვეთილები უნდა იყვნენ მიცემულნი დღეში ოთხის საათის მუშაობით; მაშასადამე ცხადია ამის აუსრულებლობა, თუ არ მანქანებით. თუ რაში მდგომარეობს ეს მანქანა და ხერხი, ამას დიდი გაგება არ დასჭირდება; აქ საჭიროა რომელსამე სასწავლებელში გაკვეთილების შემცირება ან დროსა-დროს გამოშვება. ეს პედალოვს ასე იქცევა: ამკირებს გაკვეთილების რიცხვს სამოქალაქო სასწავლებელში და ამნაირად არც მგელს უშვებს მშვიდს და არც თხას აქმევს. შეიღი გაკვეთილის ბაღლად რუსული ენითგან, აძლევს ექვსს; სამის გომნასტიკის გაკვეთილის ბაღლად აძლევს ორს; ისტორიას სრულებით სტოვებს და ამნაირად იოლად მიდის!

მაგრამ თავისი მოხერხება ამით არ გაუთავებია და გაკვეთილების რიცხვებში თავისი თავი დაუნიშნავს გაკვეთილების მიმცემად ერთსა და იმავეს დროს ორს სასწავლებელში. სამშაბათს მესამე საათზე სამოქალაქო სასწავლებელში აქვს მას ბუნების-შესწავლა და ამავე დღეს და იმავე საათზე აქვს გეოგრაფიის გაკვეთილი ქალების სასწავლებელის მეოთხე კლასში. მაგრამ, რადგანაც ეს პედალოვი ჯერ არ გამხდარა ყველგან მყოფად, ამისთვის ყოველთვის

იძულებულია ამ დროს დასტოვოს გაკვეთილი თავის სასწავლებელში და წავიდეს ქალებისაში. ამას უნდა დაუმატოთ, რომ ის ხშირად განგებ ავად ხდება ყოველს წინა-დღეს, როცა გაკვეთილი აქვს საქალბო სასწავლებელში, რადგანაც თავისუფალი დრო საჭიროა მისთვის გაკვეთილების მოსამზადებლად.

წამილი რადამტორთან

უ. რედაქტორო! მართალია, ხშირად მხედება ხოლმე თქვენი შეწყუბება ერთსა და იმავე საგანზე საჩივრით, მაგრამ იმედი მაქვს, ამ ჩემს წერილს მისცემთ ადგილს თქვენს პატრცემულს გაზეთს „დროშაში“.

მართლს ჩვენს რაჰის მაზრაში, არ ვფიქრობ, რომ 40-მდის მაინც არ აირჩეს ისეთი პირები, რომელთაც ჰქონდესთ კითხვის ხალისი და დიდის სიღრმეებით გამოიწერონ ქართული ჟურნალ-გაზეთები; მაგრამ დღეს კი 7 კაციც არ იწერს. ამისი მიზეზი ზოგჯერ რედაქციებია და უმეტეს შემთხვევებში კი ფოშაჰის კანტორები.

რაჰაში შეიღი დღის განმავლობაში ერთჯერ მოდის ფოშა და თუმცა ერთი კვირის დაგროვილი გაზეთები, 5-6 ნუმრები, ერთად უნდა მივიღოთ, მაგრამ ხან ერთის და ხან ორი № მეტი არ მოგვდის. მაგალითად ვიტყვი წარსული ფოშით თთ. მოსტანტინე და მაიხოსრო შიფიანების სახელზე მივიღე რაჰის უფნის სამმართველოდგან მარტო ორ-ოლი ნომრები 16 მაისის და 20-ს; გარდა ამისა ამ წელში დაიკარგა ონში გამოწერილი ჟურნალებიდან ერთი წიგნი „Отечеств. Записки“, ერთი „Вестникъ Европы“; ქართული ჟურნალის „ივერიის“ ორი წიგნის მეტი არ მიმიღია—ერთი იანვრის და მეორე მარტის. გაზეთების ნომრები იმდენი არის დაკარგული, რომ ანგარიში არა აქვს.

შემდეგ ამ გვარი შემთხვევებისა რა გასაკვირველია, რომ რაჰეელს მკითხველებს ხალისი დაეკარგოს გაზეთების გამოწერისა!

რადგანაც მე ესცხოვრობ დ. ონში, სადაც ფოშა მოდის, ზოგიერთმა გარემო სოფლების მცხოვრებლებმა მთხოვეს მათი გაზეთები ჩემს სახელზე გამომეწეროს და შემდეგ მათთვის გარდამეცეს; მაგრამ, სამწუხაროდ, ამითიც არაფერი გამოდნა—მე რომ არ მომდის, მათ რა გადაეცე!

ბილევ გთხოვთ მისცეთ ამ შენიშვნას თქვენს გაზეთში ადგილი და ამით დამიხსნათ იმ პირების საყვედურისგან, რომელთათვის მე ვიკისრე გაზეთების გამოწერა.

აღუქსანდრე წულუკიძე.

28 მაისს, დ. ონი.

უცხო ქვეყნები

ოსმალეთი

ლონდონის გაზეთებში დაბეჭდილია ინგლისის ელჩის წერილისაგან სტამბოლიდამ მიღებული ტელეგრაფმა, რომ ოსმალეთის გარეშე საქმეთა მინისტრმა შარა-მეოღორი ფაშამ და მთავარ ვეზირმა დამარწმუნესო, რომ რუსეთსა და ოსმალეთს შუა არაერთი მეგობრობითი კავშირი და პირობა არ არის შეკრული.

—საბერძნეთსა და ოსმალეთს შუა შერიგებას მალე მოელოან,—რადგან ორივე მხარეს თავიანთი წარმომადგენელი კამისარები ხელ-მეორედ დაუნიშნავეთ ახალი სამზღვრების გასაყვანათ. ამასთანავე საბერძნეთისა და ოსმალეთის კომისარებს თავიანთ მმართველობისაგან ბრძანება აქვთ მიღებული, რომ სამზღვრების გაყვანის დროს ბერლინის კონგრესის გარდაწყვეტილებით ინგლ-მძღვანელონ. თუმცა ამნაირად, როგორც ვამბობთ, მორიგების იმედი კი აქვთ, მაგრამ ოსმალეთი ყოველ შემთხვევისთვის მაინც ჯარებს გზავნის საბერძნეთის სამზღვარზე; ამბობენ 60,000 ოსმალოს ჯარი მზათა ჰყავს ოსმალეთსაო და როგორც სტამბოლიდამ ბრძანება მოუვათ, იმ წამსვე გადავლენ სამზღვარზედაო.

გერმანია

ამ გასული მაისის 30-ს შესრულდა ორმოც-და-ერთი წელიწადი მას აქვთ, რაც ბერმანიის იმპერატორი მილჰელმი და იმის მეუღლე აუგუსტა დაქორწილდნენ. ეს „ოქროს ქორწინების“ დღე ბერლინში და მთელს გერმანიაში დიდის ამბვით იდღესაწავლეს. მთელი ბერლინის ქუჩები და სახლები გაჩირადნებული იყო, ყველა მადენზე სამხედრო მუზიკა უკრავდა და მომღერლები მღეროდნენ; დილით ამ დღეს ერთს მადანზე 2,000 მომღერალი მღეროდა საეკლესიო და საერო ნემეცურ სიმღერებსა და გალობას. ბერმანიის ყველა სახელმწიფოებიდამ, ქალაქებიდამ და აგრეთვე სხვა-და-სხვა საზოგადოების დეპუტაციები მოვიდნენ ბერლინში იმპერატორის და იმის მეუღლის მისალოცად და სხვ. იმპერატორი ძალიან კმაყოფილი დარჩენილა ხალხის ამგვარ თანაგრძნობის გამოცხადებაზე და ამ დღის სახროვრად, სხვათა შორის, რამდენიმე პოლიტიკურ დამნაშავეისთვის პატიობა გამოუტანდებია.

რუსეთი

„მმართველობის მოამბეში“ დაბეჭდილია ხელმწიფე იმპერატორის ბრძანება, რომლის ძალითაც ლუბერნატორებს უფლება აქვთ, რომ თოფით დაიარაღებული პოლიციის სალდათები და ყა-

რაულები დააყენონ ქალაქის ქუჩებში, საცა საჭიროდ დაინახვენ; თოფები მუდამ გატენილი უნდა ჰქონდესთ.

ბერმანის იმპერატორისა და იმპერატრიცის „აქროს-ქორწინების“ დღის სახსოვრად პეტერბურგის ნემეცებს შეუკრებიათ 50,000 მან. და გარდაუციათ ბერმანის ელჩის ბარონ ალფენსლერბენისათვის რომელიმე ქველ საქმის სასარგებლოდ.

განცხადებანი

ტიტულიარნის სოვეტიკი მეგრე მადეიჩი კოზიბივი აუწყებს საყოველთაო საცნობლად, რომ თანახმად ახალი წესისა დაწესებულ უმაღლესის მთავრობისა, მივიღე მთილისის ოკრუჟენის სუდიდან მოწმობა პოვერნიობისა, რომლითაც ნება მაქვს საქმეების წარმოებისა სუდებში.

ამისათვის მსურველთ შეუძლიანთ მომანდონ როგორც სხვა და სხვა საქმეები სუდში საწარმოებლად, აგრეთვე დავებისა, რომლებიც აღმოჩნდნენ გამიჯვნის დროს.

ამასთანვე ვიღებ უგალოცნის (სისხლის სამართლის) საქმეებსაც, როგორც ვეჭილი და გამოცდილი ჩინოვნიკი მყოფი სეკრეტარის თანამდებობაში მიქვევის ნაწილისა მთილისის ოკრუჟენის სუდში ვიდრე რვა წლამდე.

ბინა მექნება შაფლანიანთ ქუჩაში, იაგორ დემუროვის სახლში, და ნშირად ვიმყოფები შემდეგ ამისა ქ. ღუშეთში.

მუხამ კოზიბივი
(7—5)

მე საგარეჯოს მამასახლისი საყოველთაოთ ეუტხადებ ყველა მაზრების სოფლების მამასახლისებს, რომ სა-

გარეჯოს მცხოვრებლებს, რომლებსაც ექნებათ საგარეჯოს ნაცელის სოლომონ ძაფთუაშვილისაგან მიცემული ბილეთები და რომლებსაც არ ექნებათ ზედ დასმული სასოფლო ღებრი, დაიჭირონ ისინი და წარმოადგინონ საგარეჯოში ჩემთან.

საგარეჯოს მამასახლისი ზურაბ მაქანტალაშვილი.
(4—3)

მუთაისში ქ. მესხის წიგნის მალაზიაში

- იხილება შემდეგი წიგნები:
- 1) იტყვანი და მოკლვებაანი — თქმულნი იმერეთის ეპისკოპოსის ბაბრიელის მიერ. შასი 1 მან. და 50 კ.
 - 2) იგივე, უკეთეს ქაღალდზე დაბეჭდილი. შასი 2 მან.
 - 3) რუსული მის დასაწყისი კურსი პრაქტიკული (Практический начальный курс рус. языка для дружин) — შედგენილი ბ. კ. — შეილის მიერ. შასი — 60 კაპ. შინც 20 წიგნზე მომეტებული იყიდის, ეგზემპლარი დაეთმობა 50 კაპეიკად.
 - 4) დედა ენა — ი. ბოგებაშვილისაგან, 30 კ.
 - 5) სიზრძნე სიცრუის წიგნი შასი — — — — 50 კაპ.
 - 6) გუნების კარი — ი. ბოგებაშვილისაგან — — — — 70 კაპ.
 - 7) პატარა ბიოლიოთეკა — იმისივე — — — — 10 —
 - 8) ლოცვანი, შედგენილი მღვ. ღამბაშიძისაგან — — — — 20 —
 - 9) ნინო, მოთხრობა თ. რაფ. შირისთვის — — — — 15 —
 - 10) თამარ ბატონიშვილთ — დრამა 5 მოქმ. — — — — 30 —

- 11) არანაპა, პოემა ბ. წერეთლისა — — — — 20 —
- 12) სამზარეულო, ბარ. მკრჯალიძისა — — — — 50 —
- 13) შარამანიანი — შირველი ექსიწიგნი — — — — 30 კ. და 40 კაპ.
- 14) რძალი გული და მავანიშვი — კომ. თუთაივისა — — — — 30 —
- 15) მართული კალენდარი 15 —
- 16) სახარება — — — — 25 —
- 17) „გუბიარა“ გოდევოლი აკაკისა — — — — 20 —
- 18) „ვაი ვაჟისაგან“ კომედია გრიბოდოვისა, ნათარგმნი ბ. წინამძღვაროვისაგან — — — — 40 —
- 19) სოლომონ ისაიჩი მუჟღანუაშვილი — — — — 30 —
- 20) გოგსანი — ლეჟსები — 20 —
- 21) ანუკა ბატონიშვილი 20 —

აქვე იხილება ყოველნაირი სახელმძღვანელო წიგნები, რუსულს ენაზე კარტები, ატლასები, კალენდრები, რვეულები, კარანდაშები, მელანი, ქაღალდი, სურათები საქართველოს მეფეებისა და სხვ. და სხვ.

სასოფლო ჯოღლავს უოვალგვარი წიგნები მიეცემა ნაქალაქი ფასათ მალაზია იმყოფება მიხაილოვის ქუჩაზე, ხარაზოვის სახლებში ალუბის ქვეშ.

თფილისში უფ. ბ. ჩარკვიანის წიგნის მალაზიაში და მუთაისში უფ. პოტე მესხის წიგნისე მალაზიაში იხილება:

ალმანახი

შედგენილი
ბ. თუშანიშვილისაგან
წიგნი მეორე
ბამოცემული ბ. ჩარკვიანისაგან
შასი — ორი აბაზი

რ. ბ. ზ. ბ.	დღა.	საღა.	II კ.	III კ.	ტელეგრაფი	მან. კაპ.	მაზანდა	მან. კაპ.	თფილისის სამაჟრანალო.
თფილისი . . .	9/21	5/18	კაპ. 8	კაპ. 8	მ. ც. სიტყვა თფილისიდან:		თფილისი, 5 სენის.		მრეწის მიედანზე, წინამძღვაროვის სახლებში.
მცხეთა . . .	10/11	6/27	85	44	ბაქსიის აქთა მხრის ყველა ქალაქებში.	0	უქვ. თეთ. ბანჯისა, ფთ.	2	აუთმყოფებს მიიღვენ ყოველს დღე დილის 9 საათიდან 1-მდინ.
ზორი . . .	11/58	9/43	3	1 53	როსტოვს, მდესს, მოსკოვს	2	მერი ფუთი	120	მ. რ. შაბათს: მერმიშევი და ბა- რ. ლევიჩი — შინაგ. აუთა, ქიუჩა- რიანც — ქალის ექიმ და საშვი- ლოსნოს ოპერაციები.
ხაშური . . .	1/29	11/57	4 73	2 42	პეტერბურგს, მარაიას	2	ბაშა მრეწისა, ფუთი . . .	8 40	საშაბათს: მერმიშევი — ში- ნაგ. ბ. ბაჟუტოვი — საბეზო და ბე- შვის. პეუნოვი — თვალის.
სურამი . . .	1/44		4 90	2 61	პეტერბურგს, შვეიცარიაში	3	— ამერიკისა, ფუთი . . .	9 20	მ. თ. შაბათი: მერმიშევი ში- ნაგანი ავთმყოფობის.
შვირილა . . .	5/49		7 21	3 69	მსმადიში, შვეიცარიაში	3	— ბაშა მრეწისა, ფუთი . . .	10 60	სხუთ შაბათს: მერმიშევი — ში- ნაგ., ქიუჩარინცი — იტილიტიკუ- რი და საშარდგ ორგანების.
რიონი . . .	6/57		8 44	4 31	იტალიაში და სფრანგუთში	3 50	ბაშენტილი ბაშა ფუთი.	8	პარასკევს: მერმიშევი — შინაგ., ბ. ბაჟუტოვი — საბეზო, ქალისა და ბაშეშების.
სამტრედია . .	7/51		9 66	4 93	ინგლისში	3 75	მატყლი თუშური ფუთი.	8	შაბათს: მერმიშევი — შინაგ., პეუნოვი — თვალისა.
ახალ-სენაკი	8/43		10 71	5 47	ფოჩტა		— მარაქამისა ფუთი . . .	5	
შოთი . . .	9/50		12 24	6 26	ა) თფილისიდან: სამზღვარ გარ- თ, ქუთაისს, რუსეთს — ყოველ დღე კვირას გარდა. ზუგდ. ორზ. და ხუთშ. ოზურ. — პარასკ. და ორზ. ბა- ხეთს — საშ. და შაბ. ბ) ქუთაი- სიდან: თფილისისა და შოთისკენ — ყოველ დღე, კვირას გარდა. ოზურ- გეთს — ორზ. და პარასკ.		აბრეშუმი ნუხური სტ.	2 10	
შოთი . . .	9 3				წიგნის გაგზავნა რუსეთში კაპ.		ქონი, ფუთი	5 80	
ახალ-სენაკი	10 14		1 53	78	და სამზღვარ გარეთ:		ქონის სანთელი ფუთი . . .	7 60	
სამტრედია . .	11 5		2 61	1 33	და წიგნის	3	სტეარინის სანთელი ფთ.	12 50	
რიონი . . .	12 13		3 84	1 97	დაბეჭდილის (ხამი მისხალი) . . .	8	ხორცი ძროხისა, ლიტ.	76	
შვირილა . . .	1 18	ლაშ.	5 3	2 56			— ცხვრისა, ლიტრა . . .	1	
სურამი . . .	5 12		1 10 7 34	3 74			სპირტი ედრო	4 50	
ხაშური . . .	5 39		1 37 7 51	3 84			შაქარი, ბროტ. ფუთი . . .	7 20	
ზორი . . .	7 5		4 8 9 24	4 73			— ფხენი ფუთი	5 70	
მცხეთა . . .	8 50		6 59 11 39	5 82			შავა გრგვლი გირვ . . .	65	
თფილისი . . .	9 31		7 56 12 24	6 26			ხეთი ქუნჯუთისა ფუთი	11 80	
							თამბაქო, ხაშუ ლო ფთ.	7 30	